

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საქართველოს სპორტის ფედერაცია

ს ს ც ე ფ

ს/კ 202059477



GEORGIAN NATIONAL DANCE SPORT FEDERATION

ს ს ც ე ფ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ათლეტის
ერთი კლუბიდან -
მეორე კლუბში
გადასვლის შესახებ

დამტკიცებულია
საქართველოს სპორტის ფედერაციის
ეროვნული ფედერაციის
გამგეობის (პრეზიდიუმის) მიერ
2014 წლის 17 მარტს

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ათლეტი სათანადო წესით დარეგისტრირებული უნდა იყოს სსცეფ-ს წევრ კლუბში, სსცეფ-ს ათლეტების მონაცემთა საერთო ბაზაში, მას უნდა ჰქონდეს ათლეტის ID ბარათი და საკლასიფიკაციო წიგნაკი - მისი კლასის, კლუბის და მწვრთნელის მითითებით;
2. საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ყველა კატეგორიის შეჯიბრზე ათლეტი მონაწილეობას ღებულობს მხოლოდ იმ კლუბის სახელით, სადაც ის რეგისტრირებულია; ათლეტის განაცხადს - მის საზღვარგარეთ შეჯიბრში მონაწილეობის შესახებ, ფედერაციის პრეზიდენტს წარუდგენს მხოლოდ ათლეტის კლუბის ხელმძღვანელი; ყველა საერთაშორისო შეჯიბრზე ათლეტი წარმოადგენს საქართველოს;
3. წყვილების შემთხვევაში: წყვილი წარმოადგენს კლუბს და სსცეფ-ს შემადგენლობაში შემავალ რეგიონალურ ფედერაციას, თუ წყვილი შედგება 2 ათლეტისგან (ვაჟი და ქალი), რომელთაგან ერთ-ერთი ათლეტის საცხოვრებელი მისამართი, ან მისი დროებითი რეგისტრაცია არის იმ რეგიონში, რომელი რეგიონის კლუბსაც წარმოადგენს ეს წყვილი;
4. ერთი წლის განმავლობაში წყვილს აქვს უფლება მხოლოდ ერთხელ განახორციელოს გადასვლა სსცეფ-ს ერთი წევრი კლუბიდან - მეორე კლუბში;
5. წინამდებარე დებულების მე-2 მუხლის მიხედვით განსაზღვრულ ყველა სახის გადასვლას კლუბიდან კლუბში - განიხილავს ფედერაციის პრეზიდენტი და გადაწყვეტილებას აცნობებს ყველა დაინტერესებულ მხარეს; პრეზიდენტს აქვს უფლება საკითხის განხილვის დროს მოიწვიოს დაინტერესებული მხარეები, თუკი ამას საჭიროდ ჩათვლის;
6. ათლეტი ან მისი ერთ-ერთი მშობელი (თუ ათლეტი არასრულწლოვანია), რომელიც გეგმავს სსცეფ-ს წევრი ერთი კლუბიდან გადასვლას სსცეფ-ს წევრ მეორე კლუბში ვალდებულია შეავსოს განაცხადი #06 - ათლეტის გადასვლის შესახებ - სსცეფ-ს წევრი ერთი კლუბიდან - მეორე კლუბში - ფედერაციის პრეზიდენტის სახელზე;
7. განაცხადის ფორმას თან ახლავს 2 შუამდგომლობის ფორმა:
 1. ათლეტის არსებული კლუბის ხელმძღვანელის ("დაზარალებული" მწვრთნელის) დასტური ან უარყოფა - მისი კლუბიდან ათლეტის გასვლასთან დაკავშირებით;
 2. ათლეტის ახალი კლუბის ხელმძღვანელის (მწვრთნელის) დასტური ან უარყოფა - მის კლუბში ათლეტის გადმოსვლასთან დაკავშირებით;
8. ათლეტი ვალდებულია წინამდებარე დებულების მე-8 მუხლში მითითებული ფინანსური ვალდებულებები სრულად და ჯეროვნად შეასრულოს მისი ყოფილი კლუბის და ფედერაციის წინაშე და ამ ვალდებულებების შესრულების დამამტკიცებელი საბანკო საგადასახადო დავალებები (თანხის გადახდის შესახებ) თან დაურთოს განაცხადს, წინააღმდეგ შემთხვევაში - ეს განაცხადი არ იქნება განხილული პრეზიდენტის მიერ;
9. ათლეტის ყოფილი კლუბის ხელმძღვანელი ("დაზარალებული" მწვრთნელი) კი თავის მხრივ - ვალდებულია არ შეუქმნას დაბრკოლება ათლეტს ამ ფინანსური ვალდებულების განხორციელებაში და ათლეტის მხრიდან ხელმოწერილი განაცხადის შეტანის თარიღიდან არაუგვიანეს 7 დღეში წარუდგინოს მას ფინანსური ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი (ინვოისი, საბანკო რეკვიზიტები და სხვა);
10. სრულად შევსებული განაცხადის, ყველა მხარის შუამდგომლობის და ფინანსური ვალდებულებების შესრულების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტაციის პრეზიდენტს წარუდგენს შემდეგ, პრეზიდენტი ვალდებულია 15 დღის განმავლობაში მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული გადასვლის შესახებ და აცნობოს ყველა მხარეს ელექტრონულად;
11. ათლეტის სსცეფ-ს კლუბიდან კლუბში გადაყვანის შესახებ პრეზიდენტის გადაწყვეტილება შესასრულებლად ეძლევა ფედერაციის სპორტ-დირექტორს და ფედერაციის RLS ადმინისტრატორს, რომლებმაც ფედერაციის ათლეტთა საერთო ბაზაში 7 დღის განმავლობაში უნდა მოახდინონ შესაბამისი შესწორების შეტანა;

12. ფედერაციის ათლეტთა საერთო ბაზაში ცვლილებების შეტანის შემდეგ, ათლეტის გადასვლა სსცეფ-ს ერთი წევრი კლუბიდან - მეორე კლუბში დასრულებულია და მას აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სსცეფ-ს ეგიდით ჩატარებულ ყველა შეჯიბრში და ღონისძიებაში - ახალი კლუბის სახელით, მას შემდეგ, რაც ის სრულად ამოწურავს თავისი კლასის მიხედვით განსაზღვრულ სადისკვალიფიკაციო ვადას:

1. "A" და ქვევით კლასამდე ათლეტის სადისკვალიფიკაციო ვადა შეადგენს 3 თვეს;
2. "S" და "M" კლასის ათლეტის სადისკვალიფიკაციო ვადა შეადგენს 6 თვეს;

13. ახალ კლუბში ათლეტისთვის კლასის და ოსტატობის დონის ამაღლება და შედეგები, შეჯიბრზე პირველი გამოსვლიდან (დისკვალიფიკაციის ვადის ამოწურვის შემდეგ) 1 წლის განმავლობაში - საკლასიფიკაციო შედეგები ეთვლება ამ ათლეტის ყოფილ "დაზარალებულ" მწვრთნელს (მისი სამსაჯო კატეგორიის ამაღლებისთვის) და არა ახალ მწვრთნელს, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ათლეტი შეჯიბრზე გამოდის ახალი კლუბის სახელით;

მუხლი 2. სსცეფ-ს წევრი კლუბიდან - კლუბში გადასვლის სხვადასხვა ვარიანტები

წინამდებარე დებულება არეგულირებს ათლეტის სსცეფ-ს წევრი ერთი კლუბიდან - მეორე კლუბში გადასვლის ქვევით ჩამოთვლილ ვარიანტებს:

1. სსცეფ-ს "A" და ქვევით კლასამდე ათლეტის გადასვლა კლუბიდან - კლუბში;
2. სსცეფ-ს "S" და "M" კლასის ათლეტის გადასვლა კლუბიდან - კლუბში;
3. სსცეფ-ს წევრ ახალ კლუბში ათლეტის დარეგისტრირება, მას შემდეგ რაც მან საკუთარი სურვილით დატოვა სსცეფ-ს წევრი სხვა კლუბი;
4. სსცეფ-ს წევრ ახალ კლუბში ათლეტის დარეგისტრირება, მას შემდეგ რაც ის გარიცხა სსცეფ-ს წევრმა სხვა კლუბმა;
5. ათლეტის გადასვლა სსცეფ-ს ერთი რეგიონალური კლუბიდან - მეორე რეგიონალურ კლუბში, თუკი ოჯახური მდგომარეობის ან სხვა მიზეზების გამო, ათლეტმა შეიცვალა საცხოვრებელი (ან დროებითი რეგისტრაციის) მისამართი;

მუხლი 3. პ რ ო ც ე დ უ რ ა - სსცეფ-ს ნებისმიერ კლასის ათლეტის გადასვლისთვის ფედერაციის წევრი ერთი კლუბიდან - მეორე კლუბში

1. **ათლეტი ვალდებულია:** (ან მისი ერთ-ერთი მშობელი, თუ ათლეტი არასრულწლოვანია)

1. შეავსოს განაცხადი #06 - ათლეტის გადასვლის შესახებ - სსცეფ-ს წევრი ერთი კლუბიდან - მეორე კლუბში - ფედერაციის პრეზიდენტის სახელზე;
2. განაცხადთან ერთად წარმოადგინოს 2 შუამდგომლობის ფორმა (მუხლი 1. §7);
3. სრულად დაფაროს ფინანსური ვალდებულებები - საკუთარი კლასის შესაბამისად (მუხლი 8.) და წარმოადგინოს ამის დამატკიცებელი დოკუმენტაცია;

2. **მწვრთნელები ვალდებული არიან:**

1. ათლეტის მიერ ფინანსური ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, ყოფილი "დაზარალებული" და ახალი მწვრთნელი ვალდებული არიან ხელი მოაწერონ შუამდგომლობის შესაბამის ფორმას, რომლებიც თან ახლავს ათლეტის განაცხადს;
2. თუკი ეს გადასვლა განხორციელებულია ორივე კლუბის ხელმძღვანელის თანხმობის საფუძველზე, ან შეიქმნა წყვილი - სადაც ვაჟი წარმოადგენს ერთ კლუბს, ხოლო ქალი -

მეორე კლუბს, ასეთ შემთხვევაში ის ათლეტი რომელიც იასპარეზებს ახალი კლუბის სახელით - გადაიხდის დებულების მე-8 მუხლში მითითებული გადასახადის მხოლოდ 20%-ს ფედერაციისასარგებლოდ - სსცეფ-ს ანგარიშზე თანხის შეტანით; წინააღმდეგ შემთხვევაში კლუბიდან კლუბში გადასვლა არ იქნება ასახული ათლეტთა საერთო ბაზაში და ათლეტი ვერ იასპარეზებს ახალი კლუბის სახელით;

3. სსცეფ-ს პრეზიდიუმი ვალდებულია:

1. განიხილოს ათლეტის მიერ შევსებული განაცხადი #06 - ათლეტის გადასვლის შესახებ - სსცეფ-ს წევრი ერთი კლუბიდან - მეორე კლუბში - განაცხადის შესვლის თარიღიდან 15 დღის განმავლობაში და გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 7 დღის ვადაში ასახოს ეს გადასვლა ათლეტთა საერთო ბაზაში;
2. იმ შემთხვევაში კი, თუკი ათლეტი სრულად ასრულებს მასზე დაკისრებულ ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამ გადასვლასთან დაკავშირებით და გარკვეული მოსაზრებების გამო არსებული "დაზარალებული" მწვრთნელი მას ხელს არ მოუწერს შუამდგომლობაზე, ათლეტს აქვს უფლება შემოიტანოს ეს განაცხადი პრეზიდიუმში, ხოლო პრეზიდიუმს აქვს უფლება მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება;

მუხლი 4. სსცეფ-ს წევრ ახალ კლუბში ათლეტის დარეგისტრირება, მას შემდეგ, რაც მან საკუთარი სურვილით დატოვა სსცეფ-ს წევრი სხვა კლუბი;

1. ათლეტს აქვს ნებისმიერ დროს საკუთარი სურვილით დატოვოს კლუბი, თუკი ის მიიღებს გადაწყვეტილებას აღარ გააგრძელოს საცეკვაო კარიერა და კლუბის ხელმძღვანელი ვალდებულია დროულად შეატყობინოს ამის შესახებ ფედერაციის სპორტ-დირექტორს, რათა მან შეაჩეროს ათლეტის "აქტიური" სტატუსი - მონაცემთა საერთო ბაზაში;
2. თუკი გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ, ასეთი ათლეტი კვლავ მოისურვებს საცეკვაო კარიერის გაგრძელებას, მაგრამ სსცეფ-ს წევრი სხვა, ახალი კლუბის სახელით, მაშინ ის ვალდებულია ჯერ გაიაქტიუროს საკუთარი სტატუსი ძველ კლუბში, ასევე მონაცემთა საერთო ბაზაში და დაიწყოს კლუბიდან კლუბში გადასვლის პროცედურა (მუხლი 3.), გარდა ამ პუნქტში ქვევით მითითებული გამონაკლისისა, როდესაც მას აქვს უფლება დარეგისტრირდეს ახალ კლუბში - ყოველგვარი ფინანსური ვალდებულების და შუამდგომლობის გარეშე;

1. "A" და ქვევით კლასის ათლეტი განაახლებს საცეკვაო კარიერას 3 წლის შემდეგ;
2. ხოლო "S" და "M" კლასის ათლეტი 5 წლის შემდეგ;

3. თუკი ათლეტს გამოყენებული აქვს საერთაშორისო ტრანსფერი და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მას კვლავ სურს საქართველოს სახელით იასპარეზოს, ასეთ შემთხვევაში ის ვალდებულია დაბრუნდეს თავის არსებულ, ძველ კლუბში, თუკი არ არის გასული ამ მუხლის 2.1. და 2.2. პარაგრაფით განსაზღვრული ვადა;

მუხლი 5. სსცეფ-ს წევრ ახალ კლუბში ათლეტის დარეგისტრირება, მას შემდეგ, რაც ის გარიცხა სსცეფ-ს წევრმა სხვა კლუბმა;

1. თუკი გარკვეული მიზეზების გამო (გარდა ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო) სსცეფ-ს წევრი გარიცხავს ათლეტს საკუთარი კლუბიდან და ამას დროულად ასახავს მონაცემთა საერთო ბაზაში, ხოლო სსცეფ-ს წევრი სხვა კლუბის

ხელმძღვანელი თანახმაა მიიღოს ეს ათლეტი საკუთარ კლუბში, ასეთ შემთხვევაში - ათლეტს აქვს უფლება დარეგისტრირდეს ახალი კლუბის სახელით მონაცემთა საერთო ბაზაში, ამ დებულების მე-8 მუხლში მოყვანილი ფინანსური ვალდებულების შესრულების გარეშე;

2. მაგრამ, თუკი გარიცხვა გამოწვეული იყო ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების გამო, რათა ათლეტს შეგნებულად მიხდინა კლუბიდან გარიცხვის საკითხის ინიცირება, ასეთ შემთხვევაში - ათლეტი ვერ დარეგისტრირდება ახალი კლუბის სახელით, სანამ სრულად არ დაფარავს ძველი "დაზარალებული" კლუბის მიმართ არსებულ ფინანსურ დავალიანებას და წინამდებარე დებულების მე-8 მუხლით განსაზღვრულ ყველა ფინანსურ ვალდებულებას;

მუხლი 6. ათლეტის გადასვლა სსცეფ-ს ერთი რეგიონალური კლუბიდან - მეორე რეგიონალურ კლუბში

1. თუკი ათლეტის გადასვლა სსცეფ-ს ერთი რეგიონალური კლუბიდან - მეორე რეგიონალურ კლუბში, გამოწვეულია ოჯახური მდგომარეობის ან სხვა მიზეზების გამო და მას მოუწია საცხოვრებელი მისამართის (დროებით ან მუდმივად) შეცვლა, ასეთ შემთხვევაში ის განთავისუფლებულია ფინანსური ვალდებულების შესრულებისგან და ასევე, თუკი მისი არსებული "დაზარალებული" კლუბის ხელმძღვანელი არ დაუკმაყოფილებს მას ასეთი სახის გადასვლას, სსცეფ-ს პრეზიდიუმი იტოვებს უფლებას ერთპიროვნულად დააკმაყოფილოს მსგავსი გადასვლა და ასახოს ეს ფედერაციის ათლეტთა საერთო ბაზაში;
2. ამ სახის გადასვლის დასამტკიცებლად ათლეტი ვალდებულია წარმოადგინოს ყველა საჭირო საბუთი - პრეზიდიუმის მოთხოვნისთვანავე;

მუხლი 7. განსაკუთრებული ფორს-მაჟორული დებულებები

1. თუკი ათლეტის გადასვლა სსცეფ-ს წევრი ერთი კლუბიდან - მეორე კლუბში გამოწვეულია არსებული კლუბის ლიკვიდაციის გამო, ან კლუბის სსცეფ-ს წევრობიდან გარიცხვის გამო, ან ამ კლუბისთვის დაწესებული წევრობის უფლების შემზღვეველი სხვა გარემოებების გამო - ასეთ შემთხვევაში ათლეტს ერთპიროვნულად აქვს უფლება მოითხოვოს სსცეფ-ს წევრ ახალ კლუბში გაწევრიანება (ძველი კლუბის "დაზარალებული" მწვრთნელის შუამდგომლობის გარეშე) და ის განთავისუფლებული იქნება მე-8 მუხლში მითითებული ყველა ფინანსური ვალდებულების შესრულებისგან; ხოლო სსცეფ-ს პრეზიდიუმი იტოვებს უფლებას ერთპიროვნულად დააკმაყოფილოს მსგავსი გადასვლა და ასახოს ეს ფედერაციის ათლეტთა საერთო ბაზაში;
2. თუკი ათლეტი ითხოვს საერთაშორისო ტრანსფერს და სურს, რომ სსცეფ-ს პრეზიდიუმმა შეუფერხებლად და დროულად დაადასტუროს ასეთი სახის ტრანსფერი, მაშინ ათლეტი ვალდებულია ამ დებულების მე-8 მუხლის თანახმად "დაზარალებულ" მწვრთნელს და ფედერაციას სრულად დაუკმაყოფილოს ყველა ფინანსური ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში სსცეფ-ს პრეზიდიუმი არ დაადასტურებს ასეთ ტრანსფერს და ამოქმედდება WDSF-ის შეჯიბრის წესების მიერ (მუხლი D.2. პუნქტები 2.2.3 და 2.2.4) დადგენილი სადისკვალიფიკაციო ვადები;

მუხლი 8. ფინანსური ვალდებულებები ათლეტებისთვის

1. ათლეტი ვალდებულია (ან მისი ერთ-ერთი მშობელი, თუ ათლეტი არასრულწლოვანია) მის ყოფილ, "დაზარალებულ" მწვრთნელს (ან კლუბს) გადაუხადოს სსცეფ-ს ერთი კლუბიდან - მეორე კლუბში გადასვლის ამ დებულებით დადგენილი გადასახადის 80% - საბანკო ანგარიშსწორებით (ეროვნულ ვალუტაში (ლარში) - გადასახადის დღეს არსებული ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით):

1.	"E" კლასის ათლეტი	-	100 US\$;
2.	"D" კლასის ათლეტი	-	200 US\$;
3.	"C" კლასის ათლეტი	-	500 US\$;
4.	"B" კლასის ათლეტი	-	1,000 US\$;
5.	"A" კლასის ათლეტი	-	2,000 US\$;
6.	"S" და "M" კლასის ათლეტი	-	5,000 US\$;

2. ხოლო (მუხლი 8. §1) მიხედვით დადგენილი გადასახადის 20% გადარიცხოს ფედერაციის ანგარშსზე - აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებული პროცედურების წარმოებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ფედერაციის პრეზიდიუმში არ განიხილავს ასეთი გადასვლის განაცხადს;

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

- წინამდებარე დებულება დამტკიცებულია სსცეფ-ს პრეზიდიუმის მიერ და ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღეს;
- სსცეფ-ს გენერალურ მდივანს აქვს ვალდებულება ყველა წევრს მიაწოდოს აღნიშნული - (პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული) დებულება (ნებისმიერი სახის ელექტრონული საშუალებით) გასაცნობად;
- წინამდებარე დებულების ტექსტის გამნარტება - შედის მხოლოდ ფედერაციის პრეზიდიუმის დისკრეციაში;
- წინამდებარე დებულების დარღვევის თავიდან ასაცილებლად - სსცეფ-ს პრეზიდიუმში ათლეტის, მწვრთნელების ან კლუბის ხელმძღვანელების წინააღმდეგ - გამოიყენებს ყველა სახის დიციპლინარულ სასჯელს და უზრუნველყოფს ამ დებულების ყველა მუხლის სრულყოფილად და დაცვას;

სსცეფ-ს გამგეობის (პრეზიდიუმის) სახელით,

გიორგი გაჩეჩილაძე

ფედერაციის პრეზიდენტი

ქ. თბილისი
17.03.2014